გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გეომედი ლაიფი Geomedi Life

№12 (13) 2023 წელი უნივერსიტეტ გეომედის ყოველკვარტალური გაზეთი



21 დეკემბერს, უნივერსიტეტ გეომედში ჩატარდა სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია, რომელზეც მოხსენებები წარმოადგინეს საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

სტუდენტების მრავალფეროვანი და საინტერესო პრეზენტაციების შემდეგ, წარდგენილი თემების შესახებ გაიმართა დისკუსია.

კონფერენციის ბოლოს ჟიურის მიერ გამოვლინდა გამარჯვებული სტუდენტები:

I ადგილი – რაჯპუტ პოოჯა ჰიტეშბჰაი (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, მეორე კურსი, ხელმძღვანელი ეკატერინე ყიფიანი)

II ადგილი – გიორგი ჭკადუა (მედიცინის ფაკულტეტი, V კურსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

III ადგილი –შაიბ გუნჩა (უნივერსიტეტი გეომედი, მედიცინის ფაკულტეტი, IV კურსი, ხელმძღვანელი ზურაბ ცეცხლაძე)

ჟიურის სიმპათია – მარიამ ტყეშელაშვილი (მედიცინის ფაკულტეტი, V კურსი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სტიპენდიებით. კონფერენციის მასალები დაიბეჭდება კრებულში ,,სტუდენტთა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენციის მასალები“.

22 დეკემბერს კი ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: ,,მედიცინისა და და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები'', რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პროფესორ-მასწავლებლებმა. კონფერენცია დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. მათ მიერ წარმოდგენილი ნაშრომები გამოქვეყნდება კონფერენციის მასალების კრებულში ,,მედიცინისა და და მენეჯმენტის თანამედროვე პრობლემები''.

ქ. თბილისში, სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის, ისლამური მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაციის (იმსა) და ჯადარას უნივერსიტეტის პარტნიორობით ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე “Shaping Tomorrow: Innovations and Trends in the Middle East and Caucasus Markets”.

კონფერენცია გახსნა უნივერსიტეტ გეომედის რექტორმა, პროფესორმა მარინა ფირცხალავამ. მონაწილეებს ასევე მიმართა ჯადარას უნივერსიტეტის პრეზიდენტმა, დოქტორმა შუქრი რ. მარაშდეჰმა. კონფერენციას უძღვებოდა უნივერსიტეტ გეომედის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფესორი თორნიკე ხოშტარია.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მარკეტინგის სფეროს წამყვანი მეცნიერები მსოფლიოს 20 ქვეყნიდან, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები, საქართველოში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ორდღიანი საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში წარმოდგენილი იყო საინტერესო მოხსენებები. მარკეტინგის სფეროს წარმომადგენლებმა გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს ისეთ თემებზე, როგორიცაა: ბაზარზე მარკეტინგის გავლენა, ინოვაციური და ტრენდული მიდგომები და ა.შ. დასასრულს გაიმართა დისკუსია.

გლობალური ისლამური მარკეტინგის კონფერენცია 2011 წლიდან ყოველწლიურად ტარდება ისლამური მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაციის მიერ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით.

საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის ბაზაზე არსებული სარეზიდენტო პროგრამა თერაპიულ სტომატოლოგიაში რეზიდენტების კიდევ ერთმა ნაკადმა წარმატებით დაასრულა. კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები.

სტომატოლოგიური კლინიკისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ულოცავს სარეზიდენტო პროგრამის კურსდამთავრებულებს და უსურვებს მათ წინსვლას და წარმატებას.

,,უნივერსიტეტ გეომედში სტომატოლოგიურ ფაკულტეტზე საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, სარეზიდენტო პროგრამის ფარგლებში სწავლა განვაგრძე ამავე უნივერსიტეტის სტომატოლოგიურ კლინიკაში. ამაყი და ბედნიერი ვარ, რადგან ის მოლოდინები, რომელიც ჯერ კიდევ პირველი კურსის დასაწყისში მქონდა, სრულად გამართლდა. ვფიქრობ, როგორც რეზიდენტმა, მაქსიმალურად გამოვიყენე ის თეორიული ცოდნა, რაც ამ დროის განმავლობაში დავაგროვე. ასევე, შევიძინე ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც საუნივერსიტეტო კლინიკაში რეზიდენტად მუშაობის დროს მაღალკვალიფიციური ექიმებისგან მივიღე. განვლილმა სასწავლო პროგრამამ გამზარდა, როგორც პროფესიულად, ასევე, პიროვნულად. ჩამომაყალიბა ადამიანად, რომელსაც სურს დაეხმაროს პაციენტებს, აღმოუჩინოს ისეთი კვალიფიციური მკურნალობა, რომელიც კმაყოფილებას გამოიწვევს მათში. სწავლის პერიოდში, შეხება მქონდა სხვადასხვა სახის სამედიცინო შემთხვევებთან, რომლებსაც ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ ვუწევდი სამედიცინო დახმარებას. გარდა იმისა, რომ კლინიკა აღჭურვილია უახლესი თანამედროვე ტექნოლოგიებით, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საუნივერსიტეტო სტომატოლოგიურ კლინიკაში ძალიან მეგობრული გარემოა, რაც მუშაობის პროცესს კიდევ უფრო სასიამოვნოს ხდის''.

თამარ კაჭკაჭიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ კურორტების განვითარების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „საქართველოს კურორტების მდგრადი განვითარების ტენდენციები და მიდგომები“. მასში მონაწილეობა მიიღეს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის რეზიდენტებმა - მარიამ კილაძემ, იანა დოლიძემ და გიორგი ამაღლობელმა. მათ წარმოადგინეს თემები, რომლებმაც ჟიურის წევრებში დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა.

კონფერენციის დასასრულს ჟიურის გადაწყვეტილებით სტუდენტები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებითა და სპეციალური პრიზებით. კონფერენციაზე წარმოდგენილი თეზისები კურორტების განვითარების სააგენტოს მიერ შექმნილ სპეციალურ სახელმძღვანელოში დაიბეჭდება.

ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ორგანიზებით უნივერსიტეტ გეომედის სტუდენტებისათვის ჩატარდა სემინარი თემაზე: „სპორტული რეაბილიტაცია – შესაძლებლობები და პერსპექტივები“. მოხსენებები წარმოადგინეს დავით ტატიშვილის სარეაბილიტაციო ცენტრის ექიმ - რეაბილიტოლოგმა თეა ადამიამ და საუნივერსიტეტო სარეაბილიტაციო კლინიკის ექიმ - რეაბილიტოლოგმა ჯარჯი ბუზარიაშვილმა. მომხსნებელმა თეა ადამიამ განიხილა სპორტსმენთა ჯანმრთელობის მდგომარეობის კონკრეტული ქეისები, რომლის შესახებაც იმსჯელა დამსწრე აუდიტორიამ. გარდა ამისა, სემინარზე საუბარი იყო ფიზიკური მედიცინისა და სპორტული რეაბილიტაციის სამიზნე ნიშნულებზე, ინტერვენციებსა და სარეაბილიტაციო მართვის ეფექტურობაზე სპორტსმენის სპორტში ოპტიმალურ ფიზიკურ კონდიციაში დაბრუნებისთვის.

სემინარის ბოლოს მსმენელებს გადაეცათ სერტიფიკატები.